

ALDA-ს მმართველი საბჭოს წევრის, ბატონი ემირ კორიჩის ვიზიტი უკრაინაში

ALDA-ს ერთგულება უკრაინისა და მისი ხალხის მიმართ განუწყვეტლივ გრძელდება იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც რუსეთი თავს დაესხა ქვეყანას.

ომის დაწყებიდან ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ, მაისის დასაწყისში ALDA-ს გუნდი იმყოფებოდა უკრაინაში 5-დღიანი მისიით, თანამშრომლობის და კონტაქტების კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით.

უკრაინისადმი ვალდებულებას იზიარებს ALDA-ს მმართველი საბჭო, ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შედგება 15 წევრისგან 9 ქვეყნიდან. ექსპერტთა ჯგუფი დაკომპლექტებულია ადგილობრივი, რეგიონული ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებით, რომლებიც უხელმძღვანელებენ ALDA-ს 2024 წლამდე.

უკრაინისადმი ვალდებულებას იზიარებს ALDA-ს მმართველი საბჭო, ექსპერტთა ჯგუფი

ბატონი ემირ კორიჩი, ALDA-ს მმართველი საბჭოს წევრი და ცენტარის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი (ჩრდილოეთ მაკედონია), მონაწილეობდა ამ მისიაში, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასოციაციასა და პარტნიორების ურთიერთობის გაღრმავებაში.

ბატონმა კორიჩმა მისიაში მონაწილეობა მიიღო, როგორც სკოპიეს წარმომადგენელმა და ჩრდილოეთ მაკედონიის ადგილობრივი ხელისუფლების მინისტრის მრჩეველმა. მისიის მთავარი მიზანი იყო ჩრდილოეთ მაკედონიის მუნიციპალიტეტების ჩართვა ALDA-ს ფლაგმანურ ინიციატივაში უკრაინის მხარდასაჭერად.

ინიციატივით მიზნად ისახავს ორი ახალი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს პარტნიორობას, რომლებიც მალე გაიხსნება ოდესასა და ვინიცაში.

ბატონი კორიჩის ჩართულობა და ორ ქალაქში შეხვედრების დროს გაზიარებული მოსაზრებები ამ მიზნისთვის ფუნდამენტური აღმოჩნდა.

„ეს მისია არსებითია ALDA-სთვის. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები რთულ პერიოდში თანამშრომლობის შესანიშნავი ინსტრუმენტია, როგორც ქვეყნის აღმშენებლობისთვის, ასევე მშვიდობის აღდგენისთვის“, - განაცხადა ბატონმა კორიჩმა.

ბატონი კორიჩის ვიზიტმა უკრაინაში კიდევ უფრო გააძლიერა დასავლეთ ბალკანეთის ისედაც ძალიან აქტიური როლი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის მხარდაჭერაში.

[მიიღეთ მეტი ინფორმაცია მისიის შესახებ უკრაინაში.](#)